# ახალი წყალტუბო

საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

АХАЛИ ЦХАЛТУБО Орган Цхалтубского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

გამოცემის XVII წელი

№ 35 (1586), ოთხშაბათი, 21 მარტი, 1956 წ. ფასი 15 კაპ.


## საკოლმეურნეო მშენებლობა ახალ საფეხურზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“, აგრეთვე „კოლმეურნეთათვის ყოველთვიური ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“, რომლებიც მეექვსე ხუთწლედისათვის პარტიის XX ყრილობის დირექტივების საფუძველზეა მიღებული, ახალ ეტაპს ქმნის საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში.

საკოლმეურნეო წარმოების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აუცილებელს ხდის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ცალკეულ დებულებათა შევსებას და შეცვლას. ამის შესახებ ნათლად არის მითითებული დადგენილებაში: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფის მთავარი ამოცანის საფუძველზე, თვითონ შეიმუშაონ და შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ მიღებული წესდების ცალკეული დებულებანი კოლმეურნეობის ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით“.

კოლმეურნეობები უფლებამოსილი არიან სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის მიხედვით უფრო რაციონალურად გამოიყენონ მათ სარგებლობაში გადაცემული მიწა, მტს-ისა და საკუთარი საწარმოო საშუალებანი, სამუშაო ძალა, განსაზღვრონ კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით, დააწესონ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, აგრეთვე შეიმუშაონ გამომუშავების ნორმები და სამუშაოს შრომადღეებით შეფასების ნორმატივები და სხვ.

საკოლმეურნეო წარმოების ყოველმხრივ განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავანსების გაცემის პროგრესულ მეთოდებს.

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეები ერთსულოვანი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. სოფელ წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. კინწურაშვილმა განაცხადა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული დადგენილებანი დიდი სტიმულია სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 3 ბრიგადის ბრიგადირმა ს. ლაჭავამ თქვა, რომ შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი დღემდე განზე უდგა საზოგადოებრივ-საარტელო წარმოებას. ამის მიზეზია ის, რომ ბრიგადა, რომელსაც ყველა შესაძლებლობა აქვს მოწინავეთა რიგებში დგომისა, სხვებთან შედარებით ჩამორჩება. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალ დადგენილებათა საფუძველზე კოლმეურნეობა აუცილებელ ღონისძიებებს გაატარებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. მხურვალედ მოიწონეს დადგენილება მაღლაკის კარუსთაველის, გვიშტიბის კაგანოვიჩის, ქვილიშორის სტალინის, ფარცხანაყანევის კალინინის, ცხუნკურის ორჯონიკიძის, გუმბრის ვოროშილოვის სახელობის და რაიონის უკლებლივ ყველა კოლმეურნეობის წევრებმა.

ახლა მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის დარგებში მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის. სანიმუშოდ მეურნეობების, მტს-ის ხელმძღვანელთა, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ლიდერებს ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ, საერთო-სახალხო შრომითი აღმავლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

## ს ა ბ ჭ ო თ ა   კ ა ვ შ ი რ შ ი

### ვრუბელის დაბადების 100 წლისთავის გამო

დედაქალაქის მხატვართა საზოგადოებრიობა აღნიშნავს ყველაზე ცნობილი რუსი ოსტატის მ. ა. ვრუბელის დაბადების 100 წლისთავს. სამახსოვრო თარიღთან დაკავშირებით მოსკოვის საბჭოთა მხატვრების კავშირმა მოაწყო ვრუბელის ნაწარმოებთა გამოფენა.

16 მარტს რუსეთის სფსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მოსკოვის საქალაქო განყოფილებამ ცენტრალურ ლექტორიუმში გამართა მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექცია. ლექცია წაიკითხა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. პ. ჟურავლიოვამ. (საქდესი).



მოსკოველმა მშენებლებმა ვალდებულება აიღეს ვადამდე — 20 დეკემბრისათვის შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის გეგმა.

„მოსკოვმშენის“ მშენებელთა კოლექტივი, რომელიც ბოლტაგის ქუჩაზე აშენებს სახკოლო შენობას წარმატებით ამაღლებს აღებულ ვალდებულებას.

ს უ რ ა თ ზ ე: მეხუთე სართულის გადახურვის სამონტაჟო სამუშაოები.

ფოტო ე. ევზერიხინისა. საქდესის ფოტოქრონიკა.

### ურალელი ავტომობილმშენებლები ქუთაისში

ქუთაისი, 19 მარტი. (საქდესი). ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მოწვევით აქ ჩამოვიდა სტალინის სახელობის ურალის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსი ა. გრუცინი, ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ტრიფონოვი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი კონტროლიორი ა. მამონტოვი, შასის საამქროს ხარატი ვ. ალექსეევა.

სტუმრები გაიცნობენ ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა მუშაობას, გაუზიარებენ მათ მოწინავე გამოცდილებას, დადებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

### მის აღმატებულებას ჯელალ ბაიარს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ანკარა

საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების ხელის მოწერის 35 წლისთავის გამო, რომელმაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულითადი მილოცვა. გულწრფელად გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას პირადად თქვენ, აგრეთვე აყვავებას თურქ ხალხს.

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 15 მარტი.

### მის აღმატებულებას გატონ მარშალ კ. ვოროშილოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მადლობას გიძღვნით თქვენო აღმატებულებავ წერილისათვის, რომელიც თქვენ კეთილინებეთ და გამომიგზავნეთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების წლისთავის გამო. ვუსურვებ ჯანმრთელობას თქვენს აღმატებულებას და აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხებს.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი.

ანკარა.

1956 წლის 23 მარტს, დღის 3 საათზე, კურორტის საზაფხულო კლუბში მოწვეულია საქართველოს კომუნისტური პარტიის წყალტუბოს რაიონის პარტიული აქტივის კრება.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები და წყალტუბოს რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. (მომხსენებელი საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ტ. ურუშაძე).

**საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომი.**

### გამსვლელი სამეცნიერო სესია

ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლში მოეწყო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის დ. პატარავასი „ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების მოწინავე აგროტექნიკის საფუძვლები“, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ბზიავასი „ჩაის პლანტაციების განოყიერების რაციონალური სისტემა“, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ცხომელიძის „მევენახეობის განვითარების პერსპექტივები ჩოხატაურის რაიონში“.

ჩაის უხვი მოსავლის მიღების თავისი გამოცდილება სესიის მონაწილეებს გაუზიარა სოფელ ქვენობნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. მახარაძემ. (საქდესი).

### საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმი

16 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პარტიის XX ყრილობის შედეგებსა და პროფკავშირების ამოცანებს.

მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. ნ. სოლოვიოვმა.

„პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და პროფკავშირთა ამოცანების შესახებ“ მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ბ. არისტოვი.

პლენუმის პირველ სხდომაზე განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა დააკმაყოფილა ნ. მ. შვერნიკის თხოვნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არჩეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ. საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ამხ. ვ. ვ. გრიშინი. (საქდესი).

# რაიონის კოლმეურნეები მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე

★ ★ ★

## სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებთან

სამუშაო დღე მიიწურა. მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც სასოფლო კლუბში შეკრებილან, აღფრთოვანებით მსჯელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებების — სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვაში, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების, ყოველთვიურად ავანსების მიცემის და შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნული დადგენილებათა გულდასმით განხილვისას ბრიგადირმა მ. კვერნაძემ საერთო კრების ყურადღება შეაჩერა კოლმეურნეობის, კერძოდ, № 1 ბრიგადის მუშაობაში არსებულ ზოგიერთ ხარვეზებზე. მან თქვა, რომ კიდევ უფრო იზრდება მომთხოვნელობა ზარმაცი კოლმეურნეების მიმართ, რომლებიც დღემდე თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას და დაუსჯელი რჩებოდნენ. არტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეების როლის ამაღლება დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უეჭველ გარანტიას იძლევა.

პარტბიუროს მდივანი გ. ქაშიბაძე, ბრიგადირი ს. ღლონტი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვ. ლექვინაძე ლაპარაკობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ყურადღებისა და დახმარების შესახებ, რასაც ისინი კოლმეურნეებისადმი იჩენენ. არტელის წევრთა საერთო კრების უფლებამოსილების გადიდება, შრომის დამატებითი ანაზღაურებისა და ყოველთვიურად ავანსების მიცემის სწორი პრაქტიკა, ადგილობრივი პირობების შესაბამისად საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვა, — ყველაფერი ეს უზრუნველყოფს კოლმეურნეთა დაინტერესების ზრდას, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს აღნიშნული დადგენილება. ისინი თავდადებით შრომობენ მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების ვადაზე ადრე მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, რაიონის კოლმეურნეობებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, რომლის ინიციატორებიც თვითონ არიან.



როვნოს ოლქი. გოშინსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კარტოფილისა და ბოსტნეულის სათესი ფართობების შემდგომი გადიდებისათვის კოლმეურნეობათა ეკონომიური დაინტერესების მიზნით პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს.

პარტიის მოწოდების პასუხად — შევქმნათ უახლოეს ორ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის სიუხვე, კოლმეურნეობაში გაიშალა მზადება კარტოფილის საგაზაფხულო რგვისათვის.

ს უ რ ა თ ზ ე: კოლმეურნეობის აგრონომი ა. ა. ქუხარი (წინ) პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებს მეკარტოფილეებთან.

ფოტო ა. პლატონოვისა. საკდესის ფოტოქრონიკა.

## ერთსულოვანი მოწონებით

სოფელ ხომულის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გულდასმით განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

ჩვენს კოლმეურნეობაში, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კინწურაშვილმა, — კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამჯობინებს გარეშე სამუშაოზე გასვლას, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთს კი სრული ნორმით ფლობს. ეს გარემოება დიდად მოქმედებს შრომის დისციპლინაზე, აფერხებს საერთო საქმის წინსვლას და კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების დროულად შესრულებას. მართალია, კოლმეურნეობის გამგეობა სისტემატურად ატარებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი როდია იმისათვის, რომ მოწოდების სიმაღლეზე დადგეს შრომის ორგანიზაცია. ამჟამად პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს კოლმეურნეებს გადაწყვიტონ და გაატარონ მტკიცე ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის განსამტკიცებლად, კოლმეურნეობებიდან განდევნონ ცრუ და ზარმაცნი, რომლებიც კოლმეურნეთა სრული უფლებებით სარგებლობენ. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს პარტიისა და მთავრობის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მივაღწიოთ, რომ ყველა კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობდეს შრომაში, წინ სწევდეს საკოლმეურნეო წარმოებას.

მემინდვრეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირმა ქ. აფხაძემ განაცხადა: ჩვენი კოლმეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებს მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის დავალებებს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ბევრი კოლმეურნე გაურბის გამგეობის მიერ მიცემულ დავალებებს, ამჯობინებს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობას და საზოგადოებრივი საქმის კეთილდღეობისათვის არ ზრუნავს. ახლა ჩვენ ხელთ არის მეტად ძვირფასი დოკუმენტი, რომლის სრულყოფილად განხორციელების შედეგად ნამდვილი წესრიგი დამყარდება არტელის მართვაში, საფუძველი გამოეცლება ზარმაცებს, მოწოდების სიმაღლეზე დადგება შრომის ორგანიზაცია და ამაღლდება დისციპლინა, კოლმეურნეთა დოვლათიანობა.

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ნ. ხუნწარიძემ თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში ურყევად გატარების შედეგად მიღწეულ უნდა იქნას გარდატეხა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდისა და პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობის დარგში.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს რა პარტიისა და მთავრობის ზემოდაღნიშნული დადგენილება გადაწყვიტეს, არ დაიშურონ ენერგია პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და მიმდინარე წელს მიიღონ ჩაის, მარცვლეულის და სხვა კულტურების მაღალი მოსავალი, გაადიდონ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

## ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ

ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში დიდი გამოცოცხლებაა. საერთო კრებაზე მოსულ კოლმეურნეებს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჯიქიამ გააცნო პარტიისა და მთავრობის დადგენილება, რომელიც მიმართულია საარტელო მეურნეობის ყოველმხრივ განმტკიცებისაკენ.

სიტყვებით გამოსულმა კოლმეურნეებმა ნ. ნუცუბიძემ, მ. ფხაკაძემ, ს. კილაძემ, შ. ფხაკაძემ და სხვებმა თქვეს: საკოლმეურნეო წარმოების მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარება, ყოველთვიურად ავანსების გაცემა და შრომის სწორი დამატებითი ანაზღაურება უსათუოდ ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვყავს ისეთი კოლმეურნეები თქვა ს. კილაძემ, — რომლებიც უფრო დიდ დროს საკუთარ კარმიდამოს ან გარეშე სამუშაოებს ანდომებენ, ხოლო საკოლმეურნეო შრომა სასხვათაშორისოდ აქვთ მიჩნეული. მან კმაყოფილებით ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ზარმაცი და უქნარა ამიერიდან ბეჯითი წევრების მსგავსად ველარ ისარგებლებს კოლმეურნის უფლებებით.

დადგენილებების პასუხად კოლმეურნეებმა პირობა დადეს წელს ვადაზე ადრე დაამთავრონ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, საიმედო საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს.

## მაღლაკელთა გამოწვევა მიღებულია

სოფელ წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გულდასმით განიხილეს სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა მიმდინარე წელს უხვი საკოლმეურნეო მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და მიიღეს გამოწვევა.

თავის მხრივ წყალტუბოელებმა იკისრეს: 480 ჰექტარზე დათესონ სიმინდი და სოია შერევით, აქედან 80 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივი წესით, აითვისონ 70 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, სიმინდის 250 ჰექტარ ნათესზე ჩაატარონ მცენარეთა ხელოვნური გამოკვება, მიიღონ ჰექტარიდან სულ მცირე 15 ცენტნერი სიმინდი, 500 კილოგრამით გაზარდონ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის საჰექტარო მოსავალი, თვითეული ჰექტარი ხეხილის ბაღიდან მიიღონ 35 ცენტნერი ხილი, 45 ცენტნერი ყურძენი, მიაღწიონ დამყნილი ვაზის 90 პროცენტით გახარებას, გააშენონ ვენახი 0,5 ჰექტარზე.

მეცხოველეობის დარგში ვალდებულება ითვალისწინებს: გადაჭარბებით შეასრულონ საფურაჟე პირუტყვის სულადობა, მიიღონ და გამოზარდონ 145 სული ნამატი, ყოველ საფურაჟე ძროხისათვის ჩაღონ სილოსი არანაკლებ 4 ტონისა, ავის 120 სულისათვის საძოვრებზე მინა, უზრუნველყონ ფერმის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოაწყონ აქვე წითელი კუთხე და ყოველთვიურად გამოუშვან კედლის გაზეთი; ყოველი დედალორიდან გამოზარდონ 12 გოჭი, ერთიორად გაზარდონ ფუტკრის ოჯახების სამლის გამოსავლიანობა.

ამასთან კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, შესყიდვისა და სახელმწიფოს წინაშე ფულადი გადასახადების დავალებები შეასრულონ დაწესებულ ვადებში. არტელის წესდების ზუსტად დაცვით მიაღწიონ შრომის ორგანიზაციის ამაღლებას, საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიურად განმტკიცებას.

თავიანთ მხრივ წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეები.

**ნ. ჯანელიძე,**
საქ. კპ წყალტუბოს რაიკომის ინსტრუქტორი მეხ-ს ზონაში

## რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში

მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დღეებში გამოქვეყნებულ დადგენილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

კრების მონაწილეებმა თავიანთ სიტყვებში ყურადღება გაამახვილეს იმ კოლმეურნეთა უკანონო მოქმედებაზე, რომლებიც არტელიდან უნებართვოდ არიან წასული. ამასთან ითქვა კოლმეურნეთა ერთი ნაწილის შესახებ, რომელიც თავს არიდებს კოლმეურნეობაში მუშაობას და დღემდე სარგებლობს სასოფლო სამეურნეო არტელის წევრთა უფლებებით. ასეთი ულირსი ადამიანები გულს უტეხენ პატიოსან, შრომისმოყვარე კოლმეურნეებს.

№ 4 საწარმოო ბრიგადის ბრიგადირმა ქ. ყორყოლიანმა აღნიშნა, რომ დღემდე მათთან არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი, 44 შრომისუნარიანიდან საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ 11-12 კაცი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილებანი ახალი ეტაპია საკოლმეურნეო ცხოვრებაში და მათი განუხრელად განხორციელება უზრუნველყოფს საარტელო მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას.

ბრიგადირებმა ა. ჩეჩელაშვილმა და დ. ესაძემ ილაპარაკეს იმ უდისციპლინო წევრთა შესახებ, რომლებიც გაურბიან დავალების შესრულებას. ასეთებს შორის მათ დაასახელეს ქ. ძიძიგურის, ე. ჩეჩელაშვილის და ლ. ყორყოლიანის ოჯახის წევრები. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები ა. ზაქარიაძე და ე. ტყეშელაშვილი.

საზოგადო კრების მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს აღნიშნული დადგენილებები და 1956 წელს უხვი მოსავლის მიღების, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაწინაურების უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული ვალდებულებები აიღეს.

კომკავშირული ცხოვრება

# საპასუხისმგებლო პერიოდი პოლიტსწავლებაში

...პოლიტწრეში, რომელშიც ...გაერთიანებული არიან გზათა ...სამინისტროს სანატორიუმის, ...ორგანიზაციის რაიკანტორის ...რაიოლმასკომის კომ... და რაიოლმასკომის ახალგაზრდები, ...ორგანიზებული ახალგაზრდები კარგად წარიმართა ...რაც მიღწეულ იქნა ...დაწესებულ დაწესებულებარა ...კომკავშირული ორგანიზაციის ენერგიული ხელმძღვანელობის შედეგად. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ...ახალგაზრდების პოლიტ...სწავლებას, ხშირად იხილავდნენ კრებებზე საკითხებს და ...ედნენ ქმედით ღონისძიებებს პოლიტწრის მუშაობის ...დაყენებისათვის.

...მრძნობდი რა, რომ წარმატება პოლიტსწავლებაში ძირითადად პროპაგანდისტზე, ...უნარსა და მომზადებაზე ...დამოკიდებული, მომეტებულად ვმუშაობდი საკუთარ ...ზე. არ ყოფილა შემთხვევა, ...ნაჩქარევად, მოუმზადებლად გამოსულიყავი ჩემი ...მსმენელების წინაშე. ვეხმარები მათ გადაცემული მასალის ათვისებაში, ვუთითებდი ...საკითხზე ლიტერატურას, ვასწავლიდი მოკლე კონსპექტების ...შედგენის წესებს. იმან, რომ ...მსმენელების არც ერთ შეხვედრას არ ვტოვებდი რეაგირების გარეშე და ორგანიზაციების მდივნებს ვთხოვდი შეეტყობინებინათ ჩემთვის გაცდენილი ღონისძიებების შესახებ, ნაყოფი გამოიღო. დღეისათვის მსგავსი შემთხვევები უკვე საცსებით აღმოფხვრილია, რაც დიდად დამეხმარა ისეთი საპასუხისმგებლო მეცადინეობების ჩატარებაში, რომლებზეც პოლიტწრის მსმენელებს გავაცანი სკკპ XX ყრილობის მასალები.

პოლიტწრის მუშაობაში ამჟამად მეტად დიდმნიშვნელოვანი პერიოდია. ჩემი ვალია მარტივად, გასაგებად და სწორად მივიტანო მსმენელებამდე პარტიის XX ყრილობის მასალების შინაარსი, დებულებები, გადაწყვეტილებანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი ზრდისა და ხალხის მატერიალურ-კულტურული პირობების ამაღლებისაკენაა მიმართული.

უკვე მესამე მეცადინეობა ჩავატარე თემაზე — ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე. ამასთან ერთად საუბარში ხშირად ვიყენებ მასალებს კამათის მონაწილეების გამოსვლებიდან.

შეინიშნება ახალგაზრდების მზარდი აქტივობა ყრილობის მასალების შესწავლისადმი. ისინი მომზადებული ცხადდებიან მეცადინეობაზე, ადგენენ მოკლე კონსპექტებს. კარგ მომზადებას ამჟღავნებენ თ. ფანცხავა, გ. სამხარაძე, ნ. კუპავა (გზათა სამინისტროს სანატორიუმიდან), ნ. ქორიძე (რაიოლმასკომიდან), თ. გიდენიძე, ნ. ქუთათელაძე, ც. ჯიმშელეიშვილი, მ. ჩირგაძე, გ. ჯიმშელეიშვილი (კავშირგაბმულობის რაიკანტორიდან) და სხვები.

პოლიტწრეს მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნია ნაკლოვანი მხარეები: ზოგი ამხანაგი აგვიანებს მეცადინეობაზე, ცხადდება სუსტად მომზადებული; სწავლების ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ ყველა ახალგაზრდა ვერ უზრუნველვყავით პარტიის XX ყრილობის მასალებით.

ენერგიას არ დავიშურებ პოლიტწრის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რაშიც კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარების იმედი გვაქვს.

**ს. ქუთათელაძე,**
პოლიტწრის პროპაგანდისტი.

# უზრუნველვყოთ მოსწავლეთა გონივრული დასვენება

როგორც ცნობილია, რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო ...ლებში 24 მარტიდან იწყება 6 აპრილამდე გასტანს ...საგაზაფხულო არდადეგები. ...არდადეგების პერიოდში სკოლის ამოცანა ის არის, რომ ...მოსწავლეთა გართობის სწორი ორგანიზაციით უზრუნველყოს ...მათი გონივრული დასვენება და მომზადება სასწავლო წლის ...წარმატებით დამთავრებისათვის.

სკოლების უმრავლესობამ ...გათვალისწინებული საგაზაფხულო არდადეგების ორგანიზებულად ...ჩატარებისათვის მზადება ადრე დაიწყო. შედგენილი აქვთ ...არდადეგების პერიოდში მუშაობის გეგმები ცალკეული კლასების მიხედვით, გათვალისწინებულია სასწავლო ხასიათის ...ექსკურსიების მოწყობა, კოლექტიური დასწრება კინოსეანსებსა და სპექტაკლებზე, აგრეთვე მოსწავლეების შეხვედრა მწერლებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან. გარდა ამისა, როგორც ეს საქ. სსრ განათლების მინისტრის ბრძანებაშია მითითებული, საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში სკოლის ეზოებსა და საკლასო ოთახებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სანიტარული წესრიგის დამყარება. ამ ღონისძიებებში უნდა ჩავაბათ სკოლების და ...უბნის ექიმები, მოსწავლე ახალგაზრდობა. სკოლის ეზოების კეთილმოწყობისას დიდი მნიშვნელობა აქვს „ტყის დღის" ორგანიზებულად ჩატარებას. მართალია, ამ ღონისძიებების განხორციელებას ბევრგან ჯერ კიდევ პირველი მარტიდან შეუდგნენ, მაგრამ არდადეგების პერიოდში კიდევ უფრო ნაყოფიერად უნდა გაიშალოს ამ მხრივ მუშაობა. საამისოდ ბევრის გაკეთება შეუძლიათ ბუნებისმეტყველების მასწავლებლებსა და ხორჩ მიჩურინელთა წრის წევრებს.

საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში სკოლები შეაჯამებენ სასწავლო წლის მესამე მეოთხედის შედეგებს და დასახავენ ქმედით ღონისძიებებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლების, სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საგაზაფხულო არდადეგებს განსაკუთრებით ხალისით ელოდებიან ქალაქის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი მეოთხე მეოთხედში სწავლას ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში განაახლებენ.

**შ. თევდორაძე,**
განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

# დავაჩქაროთ ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადება

...წელს რაიონის მებოსტნე ...კოლმეურნეობებმა ტორფნეშომპალის ქოთნებში საადრეო ...პამიდორის ნახევარ მილიონზე ...მეტი ჩითილი უნდა გამოიყვანონ. ამ მეტად სერიოზულ ...საქმეს ბევრგან თავიდანვე ...პასუხისმგებლობით მოკიდეს ...ხელი.

...მესხეთის მოლოტოვის, ფარცხანაყანევის ჟდანოვის, მაღლაკის ლენინის და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში მაისურად დაიწყეს ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადება ...და პამიდორის ჩითილების დარგვა. ფარცხანაყანევის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ტორფნეშომპალის ქოთნებში უნდა გამოიყვანოს 70.000 ჩითილი, 17 მარტისათვის ეს სამუშაო 50 პროცენტით იყო შესრულებული. მესხეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაამზადეს 15.000 ასეთივე ქოთანი და პამიდორის 8.000 ნერგის გადატანა უზრუნველყვეს. ასევე დაიწყეს პამიდორის ჩითილების გადარგვა ტორფნეშომპალის ქოთნებში მაღლაკის მალენკოვის და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა. მაგრამ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სათბურებში პამიდორის აღმონაცენი საკმაოდ განვითარებულია, ქოთნების დამზადება ჯერაც არ დაუწყიათ.

ასევე არ შედგომიან ამ საქმეს მუხიანის მიქოიანის, ფარცხანაყანევის კალინინის, მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები.

დროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი მცირე ვადა, რათა უზრუნველვყოთ მიმდინარე წელს ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღება.

# სტუმრად ჩინელ მეგობრებთან

შარშან მომიხდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობა. ეს მოგზაურობა ჩემთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. საქმე ის არის, რომ ჩინელ მეშახტეთა ჯგუფი ერთ დროს პრაქტიკას გადიოდა ყარაგანდის შახტებში. ზოგიერთ ფუშუნელ მაღაროელს მე დავეხმარე დაეუფლებოდა კომბაინ „დონბასს". საინტერესო იყო გამეგო, როგორ იყენებენ ახლა ჩვენი ჩინელი მეგობრები საბჭოთა მექვანახშირეების გამოცდილებას.

...თვითმფრინავმა წრე გააკეთა პეკინის თავზე. ჩვენს თვალწინ გადაიშალა დიდი ქალაქის პანორამა. პაეროდრომზე მხურვალედ შეგვხვდა ათასობით ადამიანი. მეორე დღეს საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციამ დაათვალიერა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევათა გამოფენა, რომელსაც ჩინეთში „დიადი მეგობრობის გამოფენას" უწოდებენ. პეკინში ჩვენ დავესწარით სოციალიზმის ახალგაზრდა მშენებელთა შეკრებას, რომელშიც 1.500-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩინეთის მაზტებისა და საწარმოების დათვალიერებამ. ვიყავი ტანშანის ქვანახშირის საბადოს „ლიუსის" შახტში, რომელიც პეკინის მახლობლად მდებარეობს. ეს არის უდიდესი ქვანახშირის საწარმო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ყოველ დღეღამეში იგი იღებს ექვსი ათასამდე ტონა ქვანახშირს. ცოტა ხნის წინათ ამ შახტის მაღაროელები ქარჩითა და ნიჩბით მუშაობდნენ. ერთ-ერთმა მეშახტემ მითხრა:

— საბჭოთა მეგობრების ძმური დახმარება რომ არა, ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს მოგვიხდებოდა ქვანახშირის ამოღება პაპისეული წესებით.

ახლა შახტში მუშაობს მძლავრი საბჭოთა ქვანახშირის მანქანები და მექანიზმები. ჩინეთის მაღაროელები გულისხმიერებით ეკიდებიან ახალ ტექნიკას, დიდად მეცადინეობენ, რომ აითვისონ იგი.

ერთ-ერთ ლავაში მე ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ქვანახშირის კომბაინების მუშაობას. ცვლის შემდეგ მეშახტეები გარს შემომეხვივნენ, მეკითხებოდნენ ყარაგანდის ქვანახშირის შესახებ, მიამბეს, თუ როგორ აითვისეს საბჭოთა ქვანახშირის ამოსაღები მანქანები. ჩემს კითხვაზე, თუ რა შრომას ხარჯავენ მექანიზატორები ერთი ციკლის შესრულებაზე, კომბაინერებმა მიპასუხეს:

— 106-მეტრიან ლავაში ციკლს ვამთავრებთ დაახლოებით 30-38 საათში.

რასაკვირველია, მათ აინტერესებდათ, როგორი მაჩვენებლები გვაქვს ჩვენ. მე ვუპასუხე, რომ ყარაგანდის საუკეთესო კომბაინერები 150-მეტრიან ლავაში ციკლს ერთ ცვლაში ასრულებენ. ხალისით დავთანხმდი მათ თხოვნაზე მეჩვენებინა, თუ როგორ ვაკეთებთ ამას. ასობით მაღაროელმა მიმაცილა სანგრევში. ბევრი დარჩა შახტის ეზოში ცვლის ბოლომდე. ჩემთან ერთად მუშაობდნენ ჩინელი ამხანაგები, რომლებსაც უნდა გაეძაგრებინათ ლავა კომბაინის მიყოლებით ჩვეულებრივზე სამჯერ უფრო სწრაფად მაინც. პირველად მე ვღელავდი, მაგრამ რაც უფრო დიდდებოდა ქვანახშირის ნაკადი, მით უფრო მტკიცედ ვმუშაობდი. ცვლის დაწყებიდან გავიდა ექვსი საათი. ლავიდან გამოვიდა უკანასკნელი ტონა ქვანახშირი. ძნელია აღვწეროთ იმ მეგობრების სიხარული, რომლებმაც ჩემთან ერთად შეასრულეს ციკლი უმაგალითო მოკლე ვადაში. ისინი მაგრად მართმევდნენ ხელს და მეხვეოდნენ, ხელით გამომიყვანეს შახტიდან.

მიტინგზე „ლიუ სის" შახტის მაღაროელებმა მხურვალედ მომილოცეს. შემდეგ მე მივიღე მათი წერილი. ისინი სიხარულით მატყობინებენ, რომ ახლა ორჯერ უფრო სწრაფად ამთავრებენ ერთ ციკლს.

მე შესაძლებლობა მომეცა დამეთვალიერებინა აგრეთვე ფუშუნის ქვანახშირის მაღაროები. იქ არიან მეშახტეები, რომლებმაც საწარმოო პრაქტიკა ყარაგანდაში გაიარეს. ფუშუნის მაღაროებს რევოლუციამდელ ჩინეთში, როგორც ჩვენ გვითხრეს, სავალალო სახელი ჰქონდათ. ეს იყო აუტანელი გაჭირვებისა და უუფლებობის ადგილი.

სახალხო ხელისუფლების არსებობის რამდენიმე წლის მანძილზე ფუშუნში გასაოცარი ცვლილებები მოხდა. აქ შექმნილია ათობით სამრეწველო საწარმო.

ერთ-ერთ შახტში ჩვენ შევხვდით ჩამომავლობით მაღაროელს ჩენ იუნს. იგი იარაღით ხელში იბრძოდა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; სახალხო წყობილების გამარჯვების შემდეგ ჩენ იუნი აღადგენდა ქვანახშირის ფუშუნს. ამას წინათ მეშახტემ ქარჩი შეცვალა საბჭოთა კომბაინ „დონბასით". ახლა იგი პირველხარისხოვანი მეშახტეა. ჩენ იუნი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის ფრიადოსანია.

სასიამოვნოა, რომ საბჭოთა მეშახტეების გამოცდილება უაღრესად ფართოდ ვრცელდება ჩინეთის ქვანახშირის საწარმოებში. მე გავიგე, რომ ჩემი მოწაფე, საყვლავი მანქანის მემანქანე ცაო შუ-ტანი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მექანიკოსი გახდა. ყარაგანდის შახტებში პრაქტიკის დამთავრების შემდეგ წარმოების გამოცდილი მეთაური გახდა ბევრი სხვა მაღაროელიც.

ფუშუნის მეშახტეებს აგრეთვე მოუხიარებდი ჩემს გამოცდილებას, გავაცანი მათ უკანასკნელი ტექნიკური სიახლენი, რაც შემოვიღეთ ჩვენს შახტებში ჩინელი მეგობრების სამშობლოში გამგზავრების შემდეგ.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციამ სახალხო ჩინეთის ბევრ პროვინციაში იმოგზაურა, დაათვალიერა ჩინეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრები. ჩინელ ამხანაგებს ყველგან გავაცანით შრომის მოწინავე ხერხები, რაც დაგროვებულია საბჭოთა ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში.

ჩვენ შევხვდით მუშებსა და გლეხებს, ინჟინრებსა და მოსწავლეებს, საზოგადო მოღვაწეებს. ჩვენთან საუბრებში მათ გვიამბეს, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა სახალხო ჩინეთმა ახალი ცხოვრების მშენებლობაში. გაგვიზიარეს ის, კიდევ უფრო გრანდიოზული პერსპექტივები, რომლებიც ჩინეთის წინაშე ისახება.

სახალხო ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში ჩვენ ვნახეთ არა მარტო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა, არამედ აგრეთვე კულტურის ნამდვილი აყვავება. დაგვამახსოვრდა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი, რომელიც ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად მოეწყო ანშანში. კონცერტში მონაწილეობდნენ რიგითი მუშები — საწარმოთა მუშები, აგრეთვე ქალაქის დაწესებულებათა მოსამსახურეები.

ორმოცი დღის განმავლობაში, რომლებიც ჩინეთში გავატარეთ, ჩვენ განვიმსჭვალეთ კიდევ უფრო დიდი პატივისცემითა და სიმპათიით ხალხისადმი, რომელიც თავდადებით შრომობს და აშენებს თავისი დიადი ქვეყნის ნათელ მომავალს.

**ვ. შეინი,**
„კიროვქვანახშირის" ტრესტის № 31 შახტის ქვანახშირის კომბაინის მემანქანე.



ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა.
სურათზე: ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე მატზე.
ფოტო ალბანეთის დეპეშათა სააგენტოსი.